

**უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაცია:  
უცხოელ სტუდენტთა მოზიდვის სტრატეგიები საქართველოში**

**ანანო წიტაიშვილი**

*სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის  
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე განათლების ადმინისტრირების მაგისტრის  
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

**განათლების ადმინისტრირება**

**სამეცნიერო ხელმძღვანელი: მაია ბინაძე, ასოცირებული პროფესორი**

**ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი**

**თბილისი, 2017**

## განაცხადი

წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ ისეთ მასალას, რომელიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ანანო წიტიანიშვილი

25/06/2017

## აბსტრაქტი

უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციამ გაზარდა იმ სახელმწიფოთა რაოდენობა, რომლებიც აქტიური გზებით ახორციელებენ სტუდენტების მოზიდვას უცხოეთიდან. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის არსებულმა კონკურენციამ წარმოშვა უცხოელ სტუდენტთა მოზიდვის სტრატეგიების შექმნის აუცილებლობა. მსგავსი ასპექტების შესწავლა ქვეყნებს ეხმარება სწორად განსაზღვრონ პრიორიტეტები და მრავალფეროვანი გახადონ შეთავაზებები.

წარმოდგენილი ნაშრომის მიზანია შეისწავლოს: I. რა ფაქტორების გავლენით ინტერესდებიან უცხოელი სტუდენტები ქართული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებით; II. უნივერსიტეტების მიერ გამოყენებული სტრატეგიები საერთაშორისო სტუდენტების მოსაზიდად; III. სახელმწიფოს თანამონაწილეობა განათლების ინტერნაციონალიზაციის პროცესებში.

ნაშრომი ეფუძნება თვისებრივი კვლევის მეთოდს, რომელიც მოიცავს უცხოელ სტუდენტებთან ჩატარებულ ფოკუს ჯგუფს, ნახევრად სტრუქტურირებულ ინტერვიუს ხუთ უმაღლეს სასწავლებელთან და დაკვირვებას საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ინიცირებულ პროექტებზე.

კვლევის შედეგად დადგინდა სამი ძირითადი ფაქტორი, რომელიც განაპირობებს სტუდენტთა დაინტერესებას ქართული უმაღლესი საგანმანათლებლო სივრცით, ესენია: ქვეყნის ადგილმდებარეობა, უცხოენოვანი პროგრამები და სოციალური ფაქტორები. შიდა სახელმწიფოებრივ დონეზე სტრატეგიის შექმნის კომბინირებული მოდელი გვხვდება

საქართველოში, რომელიც გულისხმობს უნივერსიტეტებისა და სამინისტროს ურთიერთთანამშრომლობას უცხოელი სტუდენტების მოზიდვის პროცესში.

ნაშრომი ემსახურება უცხოელ სტუდენტთა მოზიდვის სტრატეგიების განვითარებას საქართველოში. წარმოდგენილი ინფორმაცია დაეხმარება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს დაამყარონ ეფექტური კომუნიკაცია მომავალ სტუდენტებთან და გაზარდონ მათი დაინტერესება შეთავაზებული პროგრამებისადმი.

**ძირითადი საძიებო სიტყვები:** უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაცია, უცხოელი სტუდენტები, მოზიდვის სტრატეგიები, ქართული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები.

## Abstract

The internationalization of higher education institutions raised the number of states that try to attract international students from foreign countries. The competition between various universities created a necessity to create strategies to attract international students. Studying such aspects helps states to outline their priorities and make their proposals diverse in this regard.

The goal of this paper is to study: 1) what are the major factors that interest international students in Georgian higher education institutions; 2) The strategies various universities use to attract foreign students; 3) State participation in education internationalization process.

The paper is based on qualitative research method, which consists of foreign student focus group, half-structured interviews with five higher education institutions and observations on the initiated projects of Ministry of Education and Science of Georgia.

Within the frames of conducted research, three main factors were identified that leads international students to be interested in Georgian higher education, among them are: attractiveness of country location, foreign language programs and social factors. On a state level, we have combined strategy model between higher education institutions and Ministry of Education and Science of Georgia in order to attract foreign students.

The paper serves to develop different strategies to attract foreign students. the presented information in the paper will help higher education institutions to establish effective communication with potential students and increase their interest in the programs they are offering.

**Key Words:** Internationalization of Higher Education, international students, pull strategies, Georgian higher education institutions.

## მადლობა

მოცემული ნაშრომის შექმნაში მონაწილეობა მიიღო ბევრმა ადამიანმა, რომლებსაც მსურს მადლობა გადავუხადო.

პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს სამეცნიერო ხელმძღვანელის მაია ბინაძის წვლილი, რომელიც ნაშრომის შექმნის ყველა ეტაპზე მაძლევდა სწორ მიმართულებებსა და რეკომენდაციებს.

მსურს მადლობა გადავუხადო ფოკუს ჯგუფში მონაწილე უცხოელ სტუდენტებსა და ჩაღრმავებული ინტერვიუს რესპონდენტებს შემდეგი სასწავლებლიდან: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი, საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი. მათი აქტიური ჩართულობა დამეხმარა იმ მიზნების მიღწევაში, რასაც ნაშრომის შექმნა დაედო საფუძვლად.

და ბოლოს, მსურს განსაკუთრებული მადლობა გადავუხადო ჩემს მეგობრებს მხარდაჭერისთვის და მშობლებს, რომლებმაც დამანახეს განათლების მნიშვნელობა არა მხოლოდ საკუთარი ცხოვრების წარმართვის, არამედ ქვეყნის განვითარების პროცესშიც.